2024

ქუთაისის
უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების სამსახურის

მონიტორინგის ანგარიში

შინაარსი

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ..... 2
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი..... 3
შეფასებების შეჯამება..... 4
სტრატეგიული მიმართულება 1..... 5
უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 5
სტრატეგიული მიმართულება 2..... 10
უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 10
სტრატეგიული მიმართულება 3..... 15
სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება. 15
სტრატეგიული მიმართულება 4..... 22
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. 22
სტრატეგიული მიმართულება 5..... 25
უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა. 25

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ

ქუთაისის უნივერსიტეტი პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა დასავლეთ საქართველოში, რომელიც 1991 წელს დაარსდა. უნივერსიტეტი აერთიანებს 2 ფაკულტეტსა და 8 აკადემიურ პროგრამას, ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედიცინის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტები. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ქუთაისის უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში და აზიის ქვეყნებში. არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNi-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, Businet-ის გლობალური ქსელის წევრი ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), აკადემიური წევრი.

ქუთაისის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს 15 ქვეყნის 40-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტში დაფუძნებულია ეკონომიკის და მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი “.

ქუთაისის უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში პირველი უნივერსიტეტია, რომელიც არის ერასმუს+ ჟან მონეს აქტივობების გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ინსტიტუციონალურ პროექტებს.

უნივერსიტეტი ასევე გამარჯვებულია ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონფუცის ინსტიტუტების პროექტში, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის აბიტურიენტებს შეისწავლონ ჩინური ენა და კულტურა.

ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის განათლებას, მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებსა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2020-2027 წლების გეგმისა და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს 2024 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის მიზანია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მოახდინოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ხარისხის შეფასება, სამუშაო პროცესში იდენტიფიცირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2020 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის, ორგანიზაციულ დონეზე, და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2023-24 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ყოველკვარტლურად ხდება ამოცანების შესრულების პროგრესის მონიტორინგი და შემდეგ მზადდება საბოლოო წლიური ანგარიში. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ, ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია.

მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისდ შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;
- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

შეფასებების შეჯამება

ქუთაისის უნივერსიტეტმა 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად, მეტწილად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, ასევე გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

ღონისძიებების შესრულების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში 19 ამოცანა სრულად შესრულდა, 5 მეტწილად, ხოლო 3 ნაწილობრივ, ვერ შესრულდა 0.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანები შესრულდა სრულად (19 ამოცანა) სტატუსმა ბევრად გადააჭარბა წინა წელს დაფიქსირებულ შედეგებს (9 ამოცანა).

წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია უნივერსიტეტის კვლევითი და სტუდენტური მიმართულებებით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხი.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია სამედიცინო კვლევითი მიმართულების განვითარება და ორივე ფაკულტეტის სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში. აღსანიშნავია, უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, ქართველი სტუდენტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით ფაქტიურად იგივე დარჩა რაც ასევე უნივერსიტეტის გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც ახალი პროგრამების დანერგვას და მარკეტინგული კომპანიის კიდევ უფრო ინტენსიურად ჩატარების მოლოდინს აჩენს.

აღსანიშნავია საანგარიშო წელს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მუშაობა, სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაუკეთდა გაცვლითი შეთავაზებები ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან, რაც წარმატებულად იქნა

გამოყენებული, თუმცა უნივერსიტეტის გამოწვევად რჩება ახალ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება და მიღებული გამოცდილების იმპლიმენტაცია ადგილობრივ დონეზე.

სტრატეგიული მიმართულება 1.

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;

უნივერსიტეტის ცნობადობის და მის მიმართ ნდობის ამაღლება

2023 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საანგარიშო წელს მოხდა უნივერსიტეტის ახალი ვებ-გვერდის შექმნა, ახალი ვებგვერდი არის ადვილად გამოყენებადი და აქვს წინა ვებგვერდთან შედარებით მარტივი ნავიგაცია და ბევრი სხვა ფუნქცია, კერძოდ ახალი ვებ-გვერდის მახასიათებლებია:

- ახალ - ვებგვერდს გააჩნია ნავიგაცია (ძიების ფუნქცია), რომელიც უფრო მარტივს ხდის ინფორმაციის მოძიებას.
- ვებგვერდი განკუთვნილია აბიტურიენტებისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა ყველა დაინტერესებული პირთათვის ვისაც აინტერესებს უნივერსიტეტის შესახებ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია.
- შეიქმნა საიტის ახალი ფუტერი, რომელიც უფრო მეტად ინფორმაციული და პრაქტიკულია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე პირველად გამოჩნდა საინფორმაციო რგოლები.
- პირველკურსელთათვის გამარტივდა საჭირო დოკუმენტების ნუსხის და სწავლის გადასახადის შესახებ იფნორმაციის მოპოვება.
- უნივერსიტეტში მიმდინარე და წარსული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია Landing Page - ზეც, რომელშიც წარმოდგენილია ერთი ახალი ფუნქციონარი, რომელიც ლოკაციის რუკაზე მონიშვნის საშუალებას მყისიერად იძლევა.
- ყველა საჭირო გვერდზე დაემატა ხშირად დასმული კთხვების სექცია და სხვა.

- ✓ უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტმა შეასრულა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. ტრენინგი თემაზე "სმარტ მიზნები და SWOT ანალიზი". ღონისძიებას ესწრებოდა სხვადასხვა სექტორის 19 წარმომადგენელი. ტრენინგის დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები.
2. საჯარო ლექცია "ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის წესები და პროცედურები".
3. ჟან-მონეს ზამთრის და ზაფხულის სკოლებში მონაწილეობის მიღება.

- ✓ უწყვეტი განათლების ფარგლებში მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა პროფესიული გაძლიერება.

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტმა პროექტ ჟან-მონეს ფარგლებში მოახდინა სკოლის მოსწავლეებისთვის უფასო ზამთრის და ზაფხულის სკოლებში მონაწილეობის შეთავაზება, საერთო ჯამში აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 50 მდე ქუთაისის და იმერეთის რეგიონების სკოლების მოსწავლეებმა.
- ✓ წარმატებულად დაინერგა ქუთაისის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის იმიტირებული სასამართლო პროცესების გაცნობა. ქუთაისის სკოლების მოსწავლეები იმიტირებულ სასამართლოზე სხდომებზე გაეცნენ განსახილველი საქმეების შინაარსს და სასამართლო პროცესის სრულფასოვნად წარსამართად მოირგეს, როგორც დაცვის ასევე ბრალდების მხარის როლები. პროცესის ბოლოს მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ. საჯარო გამოსვლებისა და დებატების ტექნიკების 4 თვიანი ტრენინგ კურსი EDEC-ის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა/ჩაიწერა:

- ✓ უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებდა უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა სივრცის დათმობას რეგიონში არსებულ სამთავრებო თუ არასამთავრებო ორგანიზაციებისათვის, ასევე ხდებოდა წლის განმავლობაში საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მოწვევაც, რომლებიც ატარებდნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებს, ვორკშოპებს, თავიანთი წიგნების პრეზენტაციებს, ტრენინგებს და სხვა, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ასევე ყველა დაინტერესებული პირთათვის ქუთაისში და რეგიონში.
- ✓ 2024 წელს მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში ქუთაისის უნივერსიტეტისა და აიპი "მათემატიკოსის“ მიერ ორგანიზებული იყო საკვირაო სკოლა. რომელშიც იმერეთის სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. საკვირაო სკოლას ქუთაისის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ოთარ შენგელია და ასოცირებული პროფესორები მალხაზ ჯინჯიხაძე, გოჩა უგულავა და მიხეილ გაგოშიძე უძღვებოდნენ. საკვირაო სკოლა 8 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და ყოველ კვირას ლექციებზე სხვადასხვა თემები იყო განხილული.

კონფუცის ჩინური ენის კლასის განვითარება

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის დელეგაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმზე - "ჩინეთი-ევრაზია ექსპო 2023" წარდგა. ჩინეთის განათლების სამინისტროსა და სინძიანის ავტონომიური რეგიონის განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩინეთი-ევრაზია ექსპო 2023 - საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმი თემაზე - "საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავება და უკეთესი მომავლის დანერგვა" გაიმართა. საგანმანათლებლო ფორუმში წარმოდგენილი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის დელეგაცია უნივერსიტეტის რექტორის, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სახით (20 სექტემბერი);

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი და კონფუცის კლასის დირექტორი იმყოფებოდა პეკინში, სადაც სხვა 30 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად დაესწრო ტრენინგებს და გამოფენებს, აღნიშნული ვიზიტის მიზანი გახლდათ კონფუცის კლასების და ინსტიტუტების განვითარებისთვის ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება;
- ✓ საანგარიშო პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასის ორგანიზებით გაიმართა ჩინური ახალი წლის ღონისძიება სახელმწიფო „კოლეჯ იბერიაში“ (23 თებერვალი), რომელსაც დაესწრო 100-მდე სტუმარი;
- ✓ ქუთაისის კონფუცის კლასმა მონაწილეობა მიიღო დასაქმების ფორუმში, რომელიც ქუთაისში გაიმართა. ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასმა სტუმრებს გააცნო, ის სიახლეები და გეგმები, რომლებიც ელით ახალ სტუდენტებს.
- ✓ საანგარიშო პერიოდში ქუთაისის კონფუცის კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში, ალტე უნივერსიტეტში გამართულ ჩინური ენის მე-17 მსოფლიო კონკურსის "ჩინური ხიდის“ ფინალური ეტაპში, სადაც პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, კონკურსში გამარჯვებული გახდა აჩი კანდელაკი, რომელიც ოქტომბრის თვეში მონაწილეობას მიიღებს პეკინში გასამართ „ჩინური ხიდის“ მსოფლიო ჩემპიონატში და ის იქნება საქართველოს წარმომადგენილი.
- ✓ გამოცხადდა ახალი ჯგუფების მისაღებად რეგისტრაცია, რომლებიც სწავლას ნოემბრის თვიდან შეძლებენ და სხვა.

ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ 2024 წელს განხორციელდა იმერეთის და ქუთაისის საჯარო სკოლების მე-11-12 კლასელი მოსწავლეების კვლევა. კვლევა დაეხმარება მარკეტინგის სამსახურს ადგილობრივი სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიკაციაში და შესაბამისად მათ მოზიდვაში.
- ✓ 2024 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა განხორციელდა პირველკურსელი სტუდენტების აზრის კვლევა.
- ✓ განხორციელდა ვიზიტები ქალაქ ქუთაისის 25 საჯარო სკოლაში, რასაც ჯამში ესწრებოდა 200-ზე მეტი მოსწავლე. განხორციელდა იმერეთის და გურიის რეგიონების სოფლების საჯარო სკოლებში ვიზიტები, სადაც ჯამში 500-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო.

ამოცანა 4. საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ საანგარიშო წელს სისტემატიურად ხორციელდებოდა უცხოური ბაზრების კვლევა და პოტენციური სამიზნე ქვეყნების იდენტიფიცირება. ამ მიმართულებით საინტერესო იყო ბანგლადეშის, პაკისტანის, იორდანიის, ჩინეთის, საუდის არაბეთის, აფრიკის ქვეყნების ბაზრები, რომელთანაც დაწყებულია მუშაობა. წლის განმავლობაში ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგნლები იმყოფებოდნენ აღნიშნულ ქვეყნებში და ადგილზე ხვდებოდნენ სხვადასხვა სააგენტოებს და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს საერთაშორისო სტუდენტების ქუთაისში მიღებასთან დაკავშირებით. იორდანიის სამეფოში, ყატარში, ჩინეთში, საუდის არაბეთში იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის პრეზიდენტი და ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, სადაც განხორციელდა სააგენტოებთან სტუდენტების მოზიდვისთვის საჭირო სხვადასხვა სახის შეხვედრები.
- ✓ უნივერსიტეტის რექტორი და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი სისტემატიურად ესწრებოდნენ უცხოეთში გამართულ გამოფენებს, როგორიც იყო: ინდოეთში ქალაქ დელიში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა (დეკემბერი), ასევე ინდოეთის ქალაქ ჩენაის საერთაშორისო გამოფენები და სხვა.

სტრატეგიული მიმართულება 2.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა

- ✓ საანგარიშო წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო სააკრედიტაციოთ შემდეგი პროგრამების წარდგენა:
    1. სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 29 დეკემბერი 2023
    2. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა - 13 ივნისი 2024
    3. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა - 13 ივნისი 2024

არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა

საანგარიშო წელს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების დაცვით, მოხდა პროგრამებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, პროგრამები,რომლებშიც განხორციელდა ცვლილები:

- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა
- ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
- ✓ ტურიზმის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა
- ✓ სამართლის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა
- ✓ აღრიცხვისა და დაბეგვრის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა
- ✓ ფინანსების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ეკონომიკის საბაკალავრო და ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით შუალედური თვითშეფასების ანგარიშების სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ ახალი პროგრამების შემუშავებას და აკრედიტაციის პროცესებზე, უნივერსიტეტი გეგმავს უახლოს პერიოდში შემდეგი პროგრამების დამატებას:
    - ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
    - ინფორმატიკის ქართულ ენოვანი საბაკალავრო პროგრამა;

პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შენარჩუნებისა და შეთავაზებების რაოდენობრივი ზრდის მიმართულებით, გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიცხვი.

- ✓ საანგარიშო წელიწადში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა უნივერსიტეტის სტუდენტებს შესთავაზა 20 გაცვლითი პროგრამა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, აქედან შიდა შერჩევის შედეგად დაკავდა 14 კვოტა. ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გამოყენებული იყო 6 კვოტა.
- ✓ 2023-2024 წელს გაკეთდა 42 ახალი ერაზმუს+ განაცხადი შემდეგ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

1. ხორვატია - მეჯიმურიეს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ჩაკოვეცში
2. ლატვია - EKA გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
3. ლატვია - უტენოს კოლეჯი
4. პოლონეთი - ვროცლავის ბიზნესის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
5. თურქეთი - ისტანბულის გელიშიმის უნივერსიტეტი
6. ლატვია - ალბერტას კოლეჯი
7. ხორვატია - PAR გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
8. პოლონეთი - პერსონალის მართვის უნივერსიტეტი
9. თურქეთი - ონდოკუზ მაისის უნივერსიტეტი
10. თურქეთი - აღრი იბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტი
11. ბელგია - PXL უნივერსიტეტი
12. თურქეთი - დოკუზ ეილულის უნივერსიტეტი
13. თურქეთი - ტოკატ გაზიოსმანპაშას უნივერსიტეტი
14. თურქეთი - მარმარას უნივერსიტეტი
15. პოლონეთი - WSB უნივერსიტეტი
16. პოლონეთი - კორჩაკის უნივერსიტეტი - გამოყენებითი მეცნიერებების აკადემია ვარშავაში
17. ხორვატია - გამოყენებითი მეცნიერებების კოლეჯი "ლავოსლავ რუჟიჩკა" ვუკოვარში
18. თურქეთი - მუღლა სიტკი კოჩმანის უნივერსიტეტი
19. სლოვაკეთი - კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი ნიტრაში
20. ესპანეთი - ვიგოს უნივერსიტეტი
21. ლიტვა - ვილნიუსის ბიზნეს კოლეჯი
22. პოლონეთი - სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
23. ბულგარეთი - წმ. კირილესა და წმ. მეთოდეს უნივერსიტეტი ველიკო ტირნოვოში
24. კვიპროსი - ფილიპსის უნივერსიტეტი
25. ბულგარეთი - ეროვნული სამხედრო უნივერსიტეტი
26. ლატვია - ISMA უნივერსიტეტი
27. რუმინეთი - "ლუჩიან ბლაგას" უნივერსიტეტი სიბიუში

28. რუმინეთი - დასავლეთის უნივერსიტეტი ტიმიშოარაში
29. უნგრეთი - პანონიის უნივერსიტეტი
30. საბერძნეთი - პანტეიონის უნივერსიტეტი
31. პოლონეთი - კატოვიცეს ბიზნეს უნივერსიტეტი
32. სერბეთი - გამოყენებითი სკოლამდელი სწავლებისა და ჯანდაცვის კვლევების აკადემია
33. თურქეთი - ანტალიის მეცნიერების უნივერსიტეტი
34. თურქეთი - ნიშანტაშის უნივერსიტეტი
35. თურქეთი - კოჯაელის უნივერსიტეტი
36. ავსტრია - ცენტრალური ევროპული უნივერსიტეტი
37. თურქეთი - კარაბუკის უნივერსიტეტი
38. პოლონეთი - პოვისლანსკის უნივერსიტეტი
39. ჩრდილოეთ მაკედონია - საერთაშორისო ბალკანეთის უნივერსიტეტი (IBU)
40. ლატვია - ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი
41. ლიტვა - ვილნიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი
42. ესპანეთი - IES ლა ენკანტა

- ✓ საანგარიშო წელს 18 ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი შეირჩა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. 14-მა მათგანმა უკვე გამოიყენა ეს შესაძლებლობა და დანარჩენი 4 პარტნიორ უნივერსიტეტში 2024-2025 წლის შემოდგომის სემესტრში გაემგზავრება.

- ✓ უნივერსიტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაში იყვნენ ჩართული, კერძოდ:

  - 2023 წლის დეკემბერში გაიმართა ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვირეული, რომელშიც ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა, წარადგინეს პრეზენტაციები და დაამყარეს კონტაქტები 12 ქვეყნის 19 წარმომადგენელთან.
  - ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალს შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო უკრაინის 'ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტისა' და პოლონეთის 'გამოყენებით მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის' მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით თემაზე "განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან არსებული თანამედროვე გამოწვევები". კონფერნეციაში მონაწილეობა მიიღო 4-მა აკადემიურმა პერსონალმა.
  - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ერთმა სტუდენტმა, Ayesha Huma Inam-მა გაიარა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) უფასო ონლაინ სასერტიფიკატო კურსი სახელწოდებით - "One Health in action against Neglected Tropical Diseases".
  - სტამბულის გელისიმის უნივერსიტეტთან პარტნიორობით განხორციელებულ ტრენინგებს, ქუთაისის უნივერსიტეტის 50 სტუდენტი დაესწრო. ქუთაისის უნივერსიტეტის მხრიდან ამავე ღონისძიებაში 5

ლექტორი იყო ჩართული. გელისიმის უნივერსიტეტის პროფესორებმა 5 ლექცია წაიკითხეს ჩვენი სტუდენტებისთვის, და ჩვენმა ლექტორებმაც 5 საპასუხო ლექცია გელისიმის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. ჯამში 10 ლექცია.

- ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ სენტ-პოლის უნივერსიტეტის (ოტავა, კანადა) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სოციალური ინოვაციების ლაბორატორიაში - SIL. აღნიშნული ინიციატივა ონლაინ, Atelier Social Innovation Project-ის ფარგლებში განხორციელდა ონლაინ. ორკვირიანი პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ იმ ტექნიკებს, რომელთა გამოყენებითაც პრაქტიკაში შეძლებენ სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით არსებული იდეების განხორციელებას. ქუთაისის უნივერსიტეტიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა ერთმა სტუდენტმა მიიღო.
- 2024 წლის აპრილში ქუთაისის უნივერსიტეტს სტუდენტებს რიგის სტრადინის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ჟან მონეს მოდულის ფარგლებში, შესთავაზეს ონლაინ კურსი სახელწოდებით - "Green Business and Entrepreneurship in the EU Single Market" რომელიც 3 თვეს გაგრძელდა და მსმენელები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.
- 6-7 ივნისს „ქუთაისის უნივერსიტეტმა“ ერაზმუს+ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობით 7 ქვეყნის ქვეყნის 16 წარმომადგენელს უმასპინძლა, რომლის ფარგლებშიც, არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები უნივერსიტეტის, როგორც აკადემიურ, ასევე ინსტიტუციურ მხარეს გაეცნენ და ამასთანავე, სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში, ქართულ კულტურას ეზიარნენ.

- საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტმა მემორანდუმი 22 ევროპულ უნივერსიტეტთან გააფორმა:

1. ალექსანდერის კოლეჯი (კვიპროსი);
2. ანტალიის ბილიმის უნივერსიტეტი (თურქეთი);
3. EKA გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლატვია);
4. დაუგავპილსის უნივერსიტეტი (ლატვია);
5. მეჯიმურჯეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს ჩაკოვეცში;
6. პერსონალის მართვის რეგიონთაშორისი აკადემია (უკრაინა);
7. სტამბულის გელიშიმის უნივერსიტეტი (თურქეთი);
8. კორჩაკის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
9. 19 მაისის უნივერიტეტი (თურქეთი);
10. კოლეჯიუმ ჩივიტას (პოლონეთი);
11. ალბერტა კოლეჯი (ლატვია);
12. შედლცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი);
13. საერთაშორისო ბალკანეთის უნივერსიტეტი (ჩრდილოეთ მაკედონია);
14. ვილნიუსის ბიზნესის კოლეჯი (ლიეტუვა)
15. უტენას კოლეჯი (ლიეტუვა);
16. პოვისლანსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
17. კატოვიცეს ბიზნესის უნივერსიტეტი;
18. FINRA ტუზლას უნივერსიტეტი (ბოსნია და ჰერცეგოვინა)
19. UNIVERSITY OF JAEN (ესპანეთი);
20. ლუგანსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (უკრაინა);
21. ლუსიენ ბლაგას უნივერსიტეტი სიბიუ (რუმინეთი);
22. დრაგომანოვას სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა)

სტრატეგიული მიმართულება 3.

სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება.

სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო წელიწადში ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საერთო ჯამში ჩაუტარდათ 15 ტრენინგი, დამსწრე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რიცხვი კი შეადგენს 230 პირს. მონაწილეებს გაეგზავნათ ელექტრონული სერტიფიკატები.

1. მედიცინის ფაკულტეტის პერსონალისთვის 3-ჯერ ჩატარდა ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში". ტრენინგი ჩაატარეს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგცენტრის ტრენერებმა ანა ლოლიშვილმა და ანა ქარელმა. ჯამურად დეკემბერში გადამზადდა 15 ადამიანი. (დეკემბერი)
2. „სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში“. ტრენიგები ჩაატარეს სწავლების ინოვაციური ტრენინგცენტრის ტრენერებმა - ანა ქარელმა და ანა ლოლიშვილად. ჯამურად ტრენინგებს დაესწრო და გადამზადდა 33 ადამიანი. (იანვარი)
3. ტრენინგი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, ტრენინგი ჩაატარა ანა გვეტაძემ, ტრენინგს დაესწრო 30 ადამიანი, 28 – სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტზე , 2 – მედიცინის ფაკულტეტზე. (იანვარი)
4. „სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა“, ტრენინგი ჩაატარა ანა გვეტაძემ, ტრენინგს დაესწრო 22 ადამიანი. (იანვარი)
5. მედიცინის ფაკულტეტზე პერსონალის გადამზადების მიზნით ჩაატარა ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში", ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 საათს. გადამზადდა 15 ადამიანი. (მარტი)
6. მედიცინის ფაკულტეტზე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი "სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა". ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 საათს, ტრენინგს დაესწრო 16 მონაწილე (მარტი).
7. მედიცინის ფაკულტეტზე პერსონალის გადამზადების მიზნით ჩატარდა ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში", ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 საათს, გადამზადდა 2 ადამიანი. (მარტი)

8. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში", ტრენინგის ხანგრძლივობა 3 საათი, ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 7 (მარტი)
9. ორივე ფაკულტეტის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში", ტრენინგის ხანგრძლივობა 3 საათი, ტრენინგის დამსწრეთა რაოდენობა - 8 (აქედან 3 - სოც.მეცნიერებათ, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტი, 5 - მედიცინის). (აპრილი)
10. სოც. მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი "დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას", ტრენინგის დამსწრეთა რაოდენობა - 16. (აპრილი)
11. ორივე ფაკულტეტის პერსონალისთვის ჩატარდა 2-საათიანი ტრენინგი "პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები", ტრენინგი გაიარა 27 ადამიანმა (13 მედიცინის ფაკულტეტიდან, 14 სამართლის, ბიზნესისა და სოც. მეცნიერებათა). (მაისი)
12. ორივე ფაკულტეტის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგ-კურსი (პირველი ნაწილი) "ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლებისას, რომელსაც 8 ადამიანი დაესწრო (4 მედიცინის ფაკულეტეტიდან, 4 - სამართლის); (მაისი)
13. პერსონალს შევთავაზეთ მიმდინარე აკადემიური წლის საჭიროებების კვლევის ანალიზის შედეგად შემუშავებული ახალი ტრენინგ-მოდული "ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლებისას", (ივნისი/ივლისი)
14. პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი "დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას", ხოლო 17 ივლისს შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგი "განმავითარებელი შეფასების, უკუკავშირისა და რეფლექსიის სტრატეგიები" განახლებული სახით შევთავაზეთ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა

- მე-3 საერთაშორისო კონფერენცია **„განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია“** ონლაინ ფორმატში, კონფერენციას ესწრებოდა 90-მდე ადამიანი. კონფერენციის ვებგვერდი: Iceti.eu.edu.ge.
- ქუთაისის უნივერსიტეტი, Danylo Halytsky Lviv National Medical University-სა და Lvov University Hospitals-თან ერთად, ორგანიზება გაუწია კონფერენციას: **NeuroFriendship 2024.**
- უკრაინის რესპუბლიკაში პერსონალის მართვის რეგიონთაშორისი აკადემიის ორგანიზებით IX საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **"ინოვაციური ეკონომიკის, მენეჯმენტისა და განათლების განვითარება ახალ სოციალურ რეალობაში"** გაიმართა. ქუთაისის უნივერსიტეტი აღნიშნული ღონისძიების თანაორგანიზატორი იყო.
- კონფერენცია - **“Inside-Out Transforaminal Endoscopic Lumbar Discectomy”**

პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება

- ✓ უნივერსიტეტის არსებული ლაბორატორიები განახლდა შესაბამისი მასალებით, ხელსაწყოებითა და მატერიალური რესურსებით. დამატებულია ანატომაჟის 4 ტაბლეტი და მშობიარე ქალის მულაჟი. ლაბორატორიები და ოსკის სადგურები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

- ✓ საანგარიშო წელს: მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ კლინიკებთან:
  - სს "ვიანი"- კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი 2024;
  - სს "საქართველოს კლინიკები"- ქუთაისის რეფერლური ჰოსპიტალი 24/04/2024;
  - შპს "დასავლეთ საქართველოს სამედიიცინო ცენტრი" 24/04/2024.
  - შპს ქუთაისის ახალი #2 სამშობიარო სახლი 15.03.2024;
  - ფ/პ ბუჭია ჩაკვეტაძე 14.03.2024;

- ➢ შპს ,,ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ 13.05.2024

- ✓ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:
  - ➢ გურამ ჩადუნელის იურიდიულ კომპანიასთან;
  - ➢ შრომის სამართლის ცენტრთან;
  - ➢ მიკრო საფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალთან;
  - ➢ განახლდა მემორანდუმი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა

- ✓ პლაგიატის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ორივე ფაკულტეტზე ფართოდ გამოიყენება, 2024 წელს მოხდა პლაგიატის იუზერების შექმნა ახალი აკადემიური პერსონლაისთვის. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასახულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი, ხოლო სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად მითითებულია: ესე, კვლევითი ნაშრომი და ა შ. ექვემდებარება უნივერსიტეტის ანტიპლაგიატი პროგრამაზე www.strikeplagiarism.com -ზე შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის სწავლების პროცესში აქტიურ გამოყენებას.
- ✓ "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეულის" ფარგლებში, ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა პოსტერების კონკურსები. (2024)
- ✓ საანგარიშო წელს სტუდენტებისთვის დაორგანიზდა ორი სამუშაო შეხვედრა აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, საერთო ჯამში აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო 50 მდე სტუდენტი.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- ✓ 2023-2024 აკადემიურ წელს ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელდა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების მიხედვით სააუდიტორიო მუშაობების შეფასება.
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, განხორციელდა საგამოცდო პროცესების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება. გამოკითხვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების 80% მეტი კმაყოფილი იყო საგამოცდო პროცესებით.
- ✓ 2023-2024 აკადემიურ წელს განხორციელდა სტუდენტების და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, რომლის მიხედვით
  - ➢ **მედიცინის ფაკულტეტის ზოგადი კმაყოფილება:**

მაქსიმალური 5 ქულიდან საშუალოდ 4,78 ქულით (95,6 %) შეფასდა.

- **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ზოგადი კმაყოფილება:**
  5 ბალიან სკალაზე 4.64 ქულით (92,8 %) შეფასდა.
- **ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება:**
  მაქსიმალური 5 ქულიდან საშუალოდ 4,09 ქულით (81,8 %) შეფასდა

✓ 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, განხორციელდა სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ობიექტის შეფასება. გამოკითხულთა 100% აფიქსირებს რომ, სრულად მიაღწია სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა

✓ საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა:

- მედიცინის სტუდენტებისთვის ეკატერინე ვაწაძემ ჩაატარა მასტერკლასი „როგორ დავწეროთ სივი და სამოტივაციო წერილი“ (იანვარი)
- ინგლისურენოვანი მასტერკლასი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომლის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღეს სასარგებლო რჩევები ეფექტური რეზიუმეს შესაქმნელად. ინფორმაცია მიიღეს ასევე იმ პლატფორმების შესახებ, სადაც რეზიუმეს შექმნას შეძლებენ. მასტერკლასს უძღვებოდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი. (მარტი)
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთის მასტერკლასი გაიმართა, (დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს კარიერული კონსულტანტი ქეთევან ყაველაშვილის მიერ). წლის განმავლობაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია დაახლოებით 32 პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსიის შესახებ დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით.
- სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდათ ინფორმაცია სხვადასხვა მათთვის შესაძლო საინტერესო სტაჟირებებისა და ვაკანსიების შესახებ როგორც ელექტრონული ფოსტის, ტექსტური შეტყობინებებისა და პირადი გასაუბრების საშუალებით. სულ საანგარიშო პერიოდში გაგზავნილია 106 შეტყობინება. სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა მათთვის შესაძლო დასაქმების ფორუმების შესახებ როგორც ელექტრონული ფოსტის, ტექსტური შეტყობინებებისა და პირადი გასაუბრების საშუალებით.
- ადგილზე დასაქმების მიზნით განხორციელდა შეხვედრა დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობით მათ შორის, კრედო ბანკი, თიბისი ბანკი, ბაზის ბანკი, შემოსვლების სამსახური და თეგეტა მოტორსი.
- ქუთაისის უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ დასაქმების ფორუმში, სადაც წარმოდგენილი იყო 35 კომპანიას შორის. ფორუმში აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტები, რომლებსაც მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ფორუმზე წარმოდგენილ 350-მდე ვაკანსიას.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სტუდენტური გუნდების გავითარება.

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართული ცეკვების ანსამბლმა საქართველოს ხელოვნების და კულტურის აკადემიური დაჯილდოების „მეგა“ ს 24-ე ცერემონიალზე მიიღო მონაწილეობა, სადაც გაიმარჯვა „წლის საუკეთესო ანსამბლის” კატეგორიაში. (ნოემბერი)
- ✓ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მხიარულთა და საზრიანთა რამდენიმე გუნდი. უნივერსიტეტში ოქტომბერში სიცილის ლიგის შიდა ჩემპიონატის ფინალი გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები https://www.unik.edu.ge/News/1517
- ✓ მედიცინის ფაკულტეტისთვის გამართულ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა. (აპრილი)
- ✓ მხიარულთა და საზრიანთა გუნდმა "იშვიათი იმერლები" მონაწილეობა მიიღო თბილისში სიცილის ლიგაში. (მაისი)
- ✓ ქორეოგრაფიული ანსამბლი მონაწილეობას იღებდა რუმინეთის ქალაქ კალერასში გამართულ ფესტივალში.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ფუტსალის და ფრენბურთის შიდა ჩემპიონატები გაიმართა.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა, რომელიც ჩამოყალიბებულია სოც. მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისგან განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ სტუდენტურ ფესტივალში 2024.
- ✓ გუნდები აღჭურვილია შესაბამისი ფორმებით და ყველა საჭირო ინვენტარით.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში:

- საანგარიშო წელს ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრმა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად, სტუდენტური ინიციატივების კონკურსი გამოაცხადა. დაფინანსებული პროექტის ავტორები მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სტუდენტები არიან. დაფინანსებული პროექტი: Anti-Smoking Initiative პროექტის ავტორები: პრაკაშ კატიკერაჯულა, ტეჯესჰვინი ტალასანი, ირენე აგნუს ედვინ, დიკშა დიკშა პროექტის მიზანი: ცნობიერების ამაღლება თამბაქოს ნეგატიური გავლენის შესახებ და ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება.

სტრატეგიული მიმართულება 4.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და პერიოდული გადახედვა.

- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სრულად განახლდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პოტენციალის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ასევე განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების დეკლარირებული ანალიზი და სამომავლო კვლევითი თემატიკა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განსაზღვრა სამიზნე ნიშნულის შესაბამისად.

კვლევითი ინსტიტუტების დაფუძნება/განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ დარეგისტრირდა შემდეგ საერთაშორისო ბაზებში:
  - SciSpace https://typeset.io/journals/economic-profile-2uys98su?paper_page=2&fbclid=IwAR3iEzxO1qrYh1FJO8AB_FK9wh2XW3hTLy5tTxtOHfh1MMZeNG_7pVeve90
  - EuroPub https://www.facebook.com/photo?fbid=764754842366029&set=a.552188033622712
  - ჟურნალი ასევე გაწევრიანდა ცნობილი ამერიკული ბაზის EBSCO კვლევების საძიებო სისტემაში EBSCO Open Research-ში.
  - ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ჟურნალს “ეკონომიკური პროფილი” ბრიტანული ბაზა EuroPub-განდარგში მიღწეული წარმატებისათვის გადაეცა სპეციალური სერტიფიკატი (https://cms.europub.co.uk/qr_check - Euro Code: 769427280)
  - ✓ ბეჭდური და ელექტრონული სახით გამოიცა "ეკონომიკური პროფილის" 26 და 27-ე ნომერი. ჟურნალების ნომრები ატვირთულია შესაბამის ბაზებში და პროცედურების დაცვით გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. http://economicprofile.org/journal/1025

- ✓ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის კვლევით მიმართულებების გათვალისწინებით, რუსთაველის ფონდში გაიგზავნა ფუნდამენტური კვლევითი პროექტი "Human Capital Development Policy in the European Union and Convergence Problems of the Enlargement Countries (Comparative Analysis)" შედეგები ცნობილი იქნება 2024 წლის დეკემბერში.
- ✓ საანგარიშო წელს ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები და ეკონომიკური ზრდა" გაიმართა.კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ: **"ევროპის უნივერსიტეტი"** (თბილისი); **„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** "(ბათუმი); **„სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი "**(ახალციხე); **„სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი "**(თბილისი).
- ✓ საანგარიშო წელიწადში ქუთაისის უნივერსიტეტში მათემატიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი "მათემატიკური სამეცნიერო სლემი" გაიმართა. სამეცნიერო სლემი წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის, სამეცნიერო კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმას, სადაც მეცნიერები არა სპეციალისტებისთვის თანამედროვეობის მთავარ და მნიშვნელოვან სამეცნიერო იდეებზე, მათ შორის საკუთარ სამეცნიერო კვლევებზე საუბრობე.

კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის მხრიდან დამტკიცდა, ფაკულტეტის კვლევითი მიმართულებები JEL კლასიფიკატორის მითითებით:
  - R 11_ Regional Economic Activity: Growth, Development, Environmental Issues and Changes; რეგიონული ეკონომიკა: ზრდა, განვითარება გარემო საკითხები და ცვლილებები;
  - D 91_Micro- Based Behavioral Economics; Role and Effects of Psychological, Emotional, Social and Cognitive Factors on Decision Making. მიკრო- ქცევითი ეკონომიკა: როლი ეფექტი გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფსიქოლოგიური, ემოციური სოციალური და კოგნიტიური ფაქტორები
  - O 15_ Economic Development: Human Resources, Human Development, Income Distribution Migration. ეკონომიკური განვითარება: ადამიანური რესურსები, ადამიანური განვითარება,შემოსავლების გადანაწილება და მიგრაცია. ფაკულტეტის დეკანის წარდგილებით შემფასებელმა კომისიამ გამოავლინა ერთი გამარჯვებული, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.
- ✓ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა შეხვედრები (3 შეხვედრა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან. აღნიშნული შეხვედრებზე მიმდინარეობდა მუშაობა Horizon Europe-ში განაცხადის შეტანისთვის. (ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გოჩა თუთბერიძე, გოჩა უგულავა, თეონა გრიგოლაშვილი, მიხეილ გაგოშიძე აქტიური ჩართულობით მზადდებოდა

საპროექტო განაცხადი Horizon Europe-ის Excellence Hubs-ის პროგრამისთვის სახელწოდებით „ციფრული გადასვლისა და ეკოსისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში“ (ID 101187134).

- ✓ განხორციელდა ორი ინდივიდუალური კონსულტაცია სამეცნიერო ჟურნალების/გამომცემლობების შერჩევის მიმართულებით სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან.
- ✓ მარტის დასაწყისში ასევე განხორციელდა ინდივიდუალური კონსულტაცია ეკონომიკის კვლევით ინსტიტუტთან Horizon Europe-ის Excellence Hubs-ის პროექტის მომზადების პროცესში.
- ✓ ვორქშოპების სერია თემაზე „სამეცნიერო ეთიკა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში", რომელსაც უძღვებოდა „შპს ინოვაციური საგანმანათლებლო კავშირების“ პროექტის მენეჯერი, მაია მეტრეველი.
- ✓ ტრენინგი - Student support, supervision and mentorship in teaching and research, ტრენერი - კრისტი პრააკლე (ტარტუს სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტი);
- ✓ ტრენინგი-რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ში, ტრენერი-ცვატა ბერძენიშვილი (ევროპის უნივერსიტეტი).

კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება, ხელშეწყობა და შედეგების გაზიარება

- ✓ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკლუტეტის ორგანიზებით სტუდენტთა მე- 20 სამეცნიერო კონფერენცია, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებტან ერთად მონაწილეობდნენ სხვა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებით. მტკიცებულება : https://unik.edu.ge/News/1712
- ✓ მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით რიგით მე-3 საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია. კონფერენციაზე მომხსენებლებმა დარგში არსებული გამოწვევები და მიღწევები წარმოადგინეს. სტუდენტთა მიერ ჩატარებული კვლევებიდან გამოვლინდა სამი საუკეთესო ნაშრომი: „Prevalence trends of Acquired Immunodeficiency Syndrome (AIDS) globally“; “Monoclonal Antibodies-The Magic bullets”; “The link between Iron Deficiency and Hypothyroidism - Systematic review”.
  მტკიცებულება : https://unik.edu.ge/News/1710

სტრატეგიული მიმართულება 5.

უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა.

ორგანიზაციის მართვა

- ✓ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შესაბამისის კითხვარის გამოყენებით განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 22-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, რაც კვლევის წარმოების პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულთა 42%-ს შეადგენს. უნივერსიტეტთან პერსონალის თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილების კვლევისას დაფიქსირდა შემდეგი შედეგები:

კმაყოფილების დონე	2022/23	2023/24
ძალიან კმაყოფილია,	36.00%	40,91%
მეტწილად კმაყოფილი	48.00%	36.36%
ნაწილობრივ კმაყოფილი	12.00%	13.64%
მეტწილი უკმაყოფილება	4%	0
უკმაყოფილება	0	9,09%

  საერთო ჯამში, აღნიშნული საკითხი მაქსიმალური 5 ქულიდან საშუალოდ 4.09 ქულით 81.8 % შეფასდა. განხორციელდა ზემოაღნიშნული ანგარიშის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაზიარება და კვლევის შედეგად გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე დაგეგმილია რეაგირების ანგარიშების შემუშავება.

- ✓ უნივერსიტეტის ვაკანტურ პოზიციებზე გაზრდილი იყო მომართვიანობის მაჩვენებელი, თუმცა ამასთანავე 2023 წლის პერსონალის გადინების წლიური მაჩვენებელი წარმოაგენდა 16,07%.
- ✓ 2023 წელს უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის განვითარებისთვის სისტემატიურად ხორციელდებოდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ➢ თანამშრომელთა მატერიალური და არამატერიალური წახალისება - წარმატებული თანამშრომლებისთვის მადლობის სიგელების, სიმბოლური საჩუქრების და პრემიების გადაცემა.
  - ➢ სხვადასხვა დღესასწაულების, დაბადების დღეების და პროფესიული დღეების მილოცვა. ხორციელდებოდა თანამშრომლების დაბადების დღისათვის ვაუჩერების გადაცემა.

- ➢ თანამშრომლებისთვის ბრენდირებული საჩუქრების გადაცემა. 4.2023-2024 წლების შედეგების შედეგად წარმატებულ ადმინისტრაციის თანამშრომლებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო (პრემია) წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად.
- ➢ პერსონალის ორგანიზაციული კულტურის მიმართ კმაყოფილების მაჩვენებელი 2023 წლის განმავლობაში არის 81,8%, რაც არ აღემატება სამიზნე ნიშნულით დადგენილ ჭერს (80%-ს).
- ➢ 2023-2024 შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 40 პერსონალმა, (93%) შეფასების პროცესში ჩართული პერსონალის 97% შეფასდა დადებითად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა 35 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთათვისაც განისაზღვრა წახალისების სახით სასაჩუქრე ვაუჩერები.

✓ 2023 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოვლენილი ტრენინგების ჩატარების საჭიროება შესრულებულია, ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- ➢ „დროის მართვა“ - ფსიქო თერაპევტი და ბიზნესტრენერი რენატა ცომაია, (სულ გადამზადდა 12 ადმინისტრაციული პერსონალი).
- ➢ „ექსელის შემსწავლელი კურსი“ - ქუთაისის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ოთარ შენგელია (სულ გადამზადდა ადმინისტრაციული 10 პერსონალი).

✓ მოხდა სტუდენტურ ბაზებში სხვადასხვა მოდულების ჩაშენება :

- ➢ **ფინანსური მოდულის განვითარება** - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ბაზაში ჩაშენდა ფინანსური მოდული, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას შეამოწმოს თავისი ფინანსური მდგომარეობა თვეების მიხედვით, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ნახოს ერთ გვერდზე სწავლის საფასური, მიმდინარე სემესტრში აღებული კრედიტების რაოდენობა, ერთი კრედიტის ღირებულება, სწავლის საფასური მიმდინარე სემეტრში აღებული კრედიტების მიხედვით, კონკრეტული დროისთვის არსებული ფინანსური ბალანსი (დადებითი თუ უარყოფითი), იმავე გვერდზე მონიშნული აქვს მის მიერ მოპოვებული სახელმწიფო გრანტის ოდენობა (არსებობის შემთხვევაში), ან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ფასდათმობა თუ შეღავათი. აღნიშნულმა მოდულმა ფინანსურ სამსახურს მისცა შესაძლებლობა სასწავლო ბაზიდან ჩამოტვირთოს ინფორმაცია სტუდენტების მიერ კონკრეტულ სემეტრში აღებული კრედიტების რაოდენობის, წლიური სწავლის საფასურის, ვალუტის და ფასდათმობის, გრანტის თუ შეღავათის შესახებ (აკადემიური კალენდრის გათვალისწინებით), დაამუშაოს ბუღალტრულად (შესაბამისი სტანდარტების დაცვით) და სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით ისევ სასწავლო ბაზაში შეიტანოს ინფორმაცია კონკრეტული სტუდენტისთვის, რაც სტუდენტს აესახება ინდივუდუალურად თავის ფინანსურ გვერდზე.
- ➢ **ხარისხის მოდულის განვითარება** - სასწავლო ბაზას დაემატა ე.წ ‘მესიჯ ბოქსის“ სერვისი, რაც გულისხმობს სასწავლო ბაზაში სტუდენტებტან და

ლექტორებთან მოკლე ინფორმაციის გაზიარებას იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მათი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ

- **ბიბლიოთეკის მოდულის განვითარება** - სისტემატურად ხდებოდა ახალი ლიტერატურის დამატება ბაზაში, ასევე გაახლდა ბიბლიოთეკის დებულა.

2024 წელს უნივერსიტეტში მოეწყო კვებითი სივრცე.



- ✓ 2024 წლის მარტში შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განხორციელდა ავტორიზაციის განაცხადის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების წარდგენა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საავტორიზაციო კომისიის ვიზიტი.